ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
სადოქტორო პროგრამა: ციფრული ჰუმანიტარია
კურიკულუმი

ფაკულტეტის დასახელება	**მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი**
პროგრამის დასახელება	**ციფრული ჰუმანიტარია** **Digital Humanities**
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	**ციფრული ჰუმანიტარიის დოქტორი** **PhD in Digital humanities**
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხანგრძლივობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	3-5 წელი (6 -10 სემესტრი), 60 კრედიტი
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავებულია 2017 წელს და განახლებულია 2021 წელს. პროგრამის განახლება შესაძლებელია ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე, პროგრამისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით
პროგრამის ხელმძღვანელი	ნინო დობორჯგინიძე, პროფესორი, ლინგვისტურ კვლევათა ცენტრის დირექტორი ირინა ლობჟანიძე, პროფესორი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- კანდიდატის მიერ შესრულებული წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და მის მიერ სამეცნიერო - კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის ან/და მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- წარმატებით ჩაბარებული შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა ინგლისურ ენაში ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე დადასტურების მიზნით ან ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი/შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი ვალიდური სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს კანდიდატის ენის კომპეტენციას პროგრამით გათვალისწინებულ მინიმუმ B2 დონეზე ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი;*
- სადოქტორო კვლევითი განაცხადი;
- ზეპირი გამოცდა.

* უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დიპლომის აღიარება უნდა იყოს დადასტურებული სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

დეტალური ინფორმაცია პროგრამაზე მიღების პირობების, ვადების, წარსადგენი დოკუმენტების და შეფასების კრიტერიუმების შესახებ მოცემულია დოკუმენტში „სადოქტორო პროგრამაზე მიღების პროცედურების და შეფასების სისტემა“. მიღების შესახებ ინფორმაცია განთავსდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.iliauni.edu.ge.

ინფორმაცია დოქტორანტების ხელმძღვანელების კვლევითი ინტერესების შესახებ იხ. ქვემოთ სადოქტორო პროგრამის დახასიათებაში/კონცეფციაში, ხოლო სადოქტორო კვლევის განხორციელებისთვის მხარდაჭერისა და წახალისების მექანიზმების შესახებ - სწავლისათვის აუცილებელ დამხმარე პირობებში/რესურსებში.

სადოქტორო პროგრამის დახასიათება/კონცეფცია

ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამა ორიენტირებულია კვლევასა და სწავლებაში თანამედროვე ციფრული ჰუმანიტარიისა და კომპიუტერული ლინგვისტიკის, აგრეთვე კორპუსზე დაფუძნებული ლექსიკოგრაფიის სტანდარტების დანერგვაზე. ამგვარი მიდგომა ქართველოლოგიის გადაუდებელი ამოცანაა, ვინაიდან როგორც ქართული, ისე საქართველოში აღმოჩენილი ან დაცული უცხოენოვანი კულტურული მემკვიდრეობის კვლევისათვის აუცილებელია მათი დოკუმენტირება უახლესი და საერთაშორისო ციფრული სტანდარტების შესაბამისად. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია ქართული ენისათვის ლექსიკოგრაფიული, კორპუსული და, ზოგადად, ენობრივი რესურსების შექმნა ლექსიკოგრაფიის, კომპიუტერული და კორპუსის ენათმეცნიერებისა და ბუნებრივი ენის დამუშავების მეთოდების კომპლექსური გამოყენებითა და ინტერდისციპლინური მიდგომებით.

სადოქტორო პროგრამა მოიცავს ციფრული ჰუმანიტარიის ოთხ მიმართულებას: **ციფრული ეპიგრაფიკა, კომპიუტერული და კორპუსის ენათმეცნიერება, ციფრული პროსოპოგრაფია, ელექტრონული ლექსიკოგრაფია** და დოქტორანტს აძლევს შესაძლებლობას საკვლევი კითხვიდან/ჰიპოთეზიდან გამომდინარე, შექმნას მონაცემთა სტრუქტურირებული, ანოტირებული ბაზები და საანოტაციო ინსტრუმენტები, თანამედროვე ლექსიკოგრაფიული და კორპუსული რესურსები, რაც ფაქტებისა და მონაცემების ანალიზისათვის სრულიად ახალ გზებს წარმოაჩენს. პროგრამა აერთიანებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ მიმართულებით მიმდინარე კვლევებს და უზრუნველყოფს კავშირს ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დოქტორანტების ხელმძღვანელების კვლევის პროფილები იხილეთ ბმულზე: https://shorturl.at/EpjR6

პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზანია, მოამზადოს ციფრული ჰუმანიტარიის დარგში ახალი თაობის მკვლევრები, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან ინტერდისცილინური ცოდნითა და უნარებით და შეძლებენ განახორციელონ ინოვაციური და ორიგინალური კვლევა თანამედროვე ინფორმაციის, ტექნოლოგიებისა და მეთოდების გამოყენებით ციფრული ეპიგრაფიკის, კომპიუტერული და კორპუსის ენათმეცნიერების, ციფრული პროსოპოგრაფიისა ან ელექტრონული ლექსიკოგრაფიის მიმართულებით და მოახდენენ ცოდნის ტრანსფერს აუდიტორიასა და საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციის დონეზე.

პროგრამა ქმნის მაღალი ხარისხის კვლევით გარემოს და შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს, გაეცნონ და მოახდინონ ქართულენოვანი და საქართველოში დაცული უცხოენოვანი კულტურული მემკვიდრეობის დოკუმენტირება საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, შექმნან მონაცემთა სტრუქტურირებული, ანოტირებული ბაზები და საანოტაციო ინსტრუმენტები, შექმნან თანამედროვე ლექსიკოგრაფიული და კორპუსული რესურსები მანქანურ თარგმანსა და სხვა აპლიკაციებში გამოსაყენებლად. პროგრამა ამზადებს კურსდამთავრებულებს წარმატებული კარიერისთვის როგორც აკადემიურ სივრცეში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

პროგრამა მჭიდროდ თანამშრომლობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ საერთაშორისო სადოქტორო სკოლასთან, იყენებს მის მიერ შექმნილ ყველა რესურსს, მათ შორის - დოქტორანტს აძლევს უცხოელი ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის ყოლისა და ორმაგი ხარისხის მოპოვების შესაძლებლობას კოტუტელის ფორმატის ფარგლებში.

სწავლების მეთოდები

- ლექცია და სემინარი;
- პრაქტიკული მეთოდი;
- ელექტრონული სწავლება;
- დემონსტრირების მეთოდი;
- ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა;
- დისკუსია;
- შემთხვევის ანალიზი;
- მოდელირება/სიმულაცია;

- ანალიზი და სინთეზი;
- ინდუქციური და დედუქციური მეთოდები;
- საველე მუშაობა;
- სუპერვიზია და სხვ.;

შენიშვა: პროგრამის თითოეულ კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდები მოცემულია შესაბამის სილაბუსებში/კონცეფციის დოკუმენტებში.

სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს:

1. აქვს უახლესი ცოდნა ციფრული ჰუმანიტარიის კვლევის სფეროში (ციფრული ეპიგრაფიკა, კომპიუტერული და კორპუსის ენათმეცნიერება, ციფრული პროსოპოგრაფია, ელექტრონული ლექსიკოგრაფია) და იყენებს მას როგორც შიდა, ასევე ინტერდისციპლინურ ჭრილში ინოვაციური კვლევის განხორციელებისას, კვლევის კონტექსტის გათვალისწინებით;
2. შეუძლია შექმნას თანამედროვე ტექნოლოგიებზე, მიდგომებსა და მეთოდებზე დაფუძნებული კვლევისთვის რელევანტური რესურსები/ინსტრუმენტები;
3. შეუძლია დაგეგმოს და განახორციელოს კვლევა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;
4. შეუძლია კომპლექსური ინფორმაციის/მონაცემების გენერირება, კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და ინტერპრეტაცია;
5. შეუძლია ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე თემატურ დისკუსიებში მონაწილეობა და მოპოვებული მონაცემებისა და კვლევის შედეგების წარდგენა, მათ შორის საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციაში;
6. შეუძლია ცოდნის გადაცემა აუდიტორიაში.

პროგრამის სტრუქტურა

სწავლის განმავლობაში დოქტორანტმა უნდა დააგროვოს 60 კრედიტი, გამოაქვეყნოს 2 სტატია, რომელთაგან მინიმუმ ერთი, უნდა იყოს გამოქვეყნებული საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში (სტატიებთან დაკავშირებული მოთხოვნები იხ. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში)და დაიცვას სადოქტორო ნაშრომი. პროგრამის სტრუქტურა მოცემულია ცხრილის სახით.

ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, პროგრამა სთავაზობს დოქტორანტებს სხვადასხვა ტრენინგს, რომელიც ადმინისტრირებულია პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ. საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, პროგრამაზე სწავლის პერიოდში, დოქტორანტებმა უნდა აირჩიონ მინიმუმ 2 ტრენინგი. დოქტორანტებს ტრენინგი გავლილად ჩაეთვლებათ, თუ ისინი დააკმაყოფილებენ არჩეული კომპონენტის ყველა მოთხოვნას.

კომპონენტები	სემესტრები										ECTS
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	
სავალდებულო კურსები/კომპონენტი											
სადოქტორო სემინარი I	■										6
სადოქტორო სემინარი II		■									6
Writing for Academic Publication				■	■	■	■	■	■		6
კურიკულუმის განვითარება და სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში	■										6
ასისტირება**		■	■	■	■	■	■	■	■		12
პროსპექტუსი	■	■									-
სადოქტორო კოლოკვიუმები			■	■	■	■	■	■	■		-

სადოქტორო ნაშრომი											-
სავალდებულო-არჩევითი კომპონენტი*											
კომპიუტერული ენათმეცნიერების კვლევის მეთოდები											12
კორპუსის ენათმეცნიერების კვლევის მეთოდები											12
კვლევის მეთოდები ელექტრონულ ლექსიკოგრაფიაში											12
ციფრული ეპიგრაფიკის კვლევის მეთოდები და საქართველოს მრავალენოვანი ეპიგრაფიკა (ქართული, ძველი ბერძნული, არამეული, ებრაული)											12
პროსოპოგრაფია როგორც კვლევის მეთოდი											12
არჩევითი კომპონენტები ***											
ასისტირება**											12
სხვა მიმართულების კვლევის მეთოდების კურსი											12
დარგობრივი სემინარი											6
ტრანსფერული უნარების განმავითარებელი კომპონენტები											
კვლევითი კეთილსინდისიერება და ეთიკა											-
და/ან											
სწავლა-სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდები, სწავლებაში თანამედროვე მეთოდების გამოყენება											-
გრანტების მოძიება და ადმინისტრირება, პროექტების მართვა, პროექტების დაგეგმვა და განხორციელება											-
ტრენინგი: საპროექტო წინადადების მომზადება											-
სტუდენტთა აქტიურობის შეფასების პრინციპები და ინსტრუმენტები											-
აქტიური სწავლება ამობრუნებულ გაკვეთილზე											-
ორგანიზაციული მართვისა და ლიდერობის ტრენინგი											-
ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში											-
სწავლების ეფექტიანობის გაზრდა თანამედროვე სასწავლო ტექნოლოგიების გამოყენებით											-
სადოქტორო პროგრამისთვის რელევანტური სხვა ტრენინგ კურსი											-
											სულ 60

**სავალდებულო-არჩევითი კურსების ბლოკიდან დოქტორანტი ირჩევს თავისი მიმართულების ერთ-ერთ კურსს*

*** არჩევით კომპონენტში დოქტორანტმა უნდა დააგროვოს 12 კრედიტი. დოქტორანტს აქვს საშუალება აირჩიოს ასისტირების 6 კრედიტი და დარგობრივი სემინარი ან ორი დარგობრივი სემინარი სხვადასხვა სემესტრში ან მხოლოდ სხვა მიმართულების კვლევის მეთოდების კურსი ან მხოლოდ ასისტირების 12 კრედიტი.*

**** სწავლების ასისტირების დაწყებამდე, დოქტორანტმა უნდა გაიაროს სწავლებისა და შეფასების სტრატეგიების კურსი და PPDC-ის*

ცენტრის სწავლებისა და შეფასების მეთოდების მინიმუმ ერთი ტრენინგ კურსი; კვლევის ასისტირების დაწყებამდე დოქტორანტს დაცული უნდა ჰქონდეს პროსპექტუსი.

საჭიროების შემთხვევაში დოქტორანტს მიეცემა შესაძლებლობა, კრედიტების გარეშე გაიაროს აღდგენითი კურსი (ე.წ. remedial course) სამაგისტრო საფეხურიდან.

სადოქტორო პროგრამა იწყება **სადოქტორო სემინარების** (სულ - 12 კრედიტი) სერიით. სადოქტორო სემინარების ფარგლებში დოქტორანტები პროსპექტუსზე მუშაობენ ხელმძღვანელთან/ თანახელმძღვანელთან/მომიჯნავე დარგის/დისციპლინის პროფესორთან ერთად. პროსპექტუსის მონახაზი მუშავდება სადოქტორო პროგრამაზე მიღებისას წარდგენილი სადოქტორო კვლევითი განაცხადის საფუძველზე. სემინარის განმავლობაში დოქტორანტები:

- განსაზღვრავენ საკვლევ საკითხს/პრობლემას სადისერტაციო კვლევისთვის;
- აკეთებენ რელევანტური ლიტერატურის მიმოხილვას, რომელიც მოიცავს შერჩეული საკითხის/პრობლემის შესახებ კვლევებზე დაფუძნებული უახლესი ცოდნის, გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგიების, მიდგომების და კონცეფციების ანალიზს/სინთეზს და შეფასებას;
- ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე განსაზღვრავენ ახალი ცოდნის შექმნის საჭიროებას და აყალიბებენ კვლევის მიზანს, საკვლევ კითხვას/ებს (საჭიროების შემთხვევაში ჰიპოთეზას) და აყალიბებენ კვლევის მეთოდოლოგიას;
- ადგენენ ბიბლიოგრაფიას და კვლევის გეგმას.

(იხ. სადოქტორო სემინარი 1, 2)

სადოქტორო სემინარების სერია სრულდება პროსპექტუსის წარდგენით და დაცვით დარგობრივი კომისიის წინაშე სწავლების პირველი წლის ბოლოს.

სადოქტორო კოლოკვიუმების სერია იწყება სწავლების მესამე სემესტრიდან. მისი მიზანია, უზრუნველყოს დოქტორანტების კვლევითი პროცესის სისტემატიზაცია და შედეგზე ორიენტირებულობა, დოქტორანტისთვის მის პროგრესთან დაკავშირებით განმავითარებელი უკუკავშირის მიწოდების გზით. სადოქტორო კოლოკვიუმი ხელს უწყობს სტუდენტს, წარმართოს კვლევა კვლევის გეგმის მიხედვით, მოახდინოს პერიოდული რეფლექსია და ანგარიშგება კვლევის შედეგებთან დაკავშირებით და სხვა; მომიჯნავე დარგების დოქტორანტებთან ერთად ჩაერთოს სამეცნიერო დისკუსიაში; პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისგან, მათ შორის, კვლევის ხელმძვანელისგან მიიღოს კონსტრუქციული უკუკავშირი კვლევის გაუმჯობესების მიზნით. კოლოკვიუმის სესიებში, საჭიროების შემთხვევაში, ჩაერთვებიან ორგანიზაციები, რომლებიც დაინტერესებულები არიან კვლევის შედეგებით (დეტალური ინფორმაცია კოლოკვიუმის შესახებ იხ. კოლოკვიუმის კონცეფციაში). დოქტორანტმა აუცილებლად უნდა შეასრულოს სემესტრში ერთი კოლოკვიუმი.

ასისტირება არის სადოქტორო პროგრამის ის კომპონენტი, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტის ჩართულობას სწავლებასა და კვლევასთან დაკავშირებულ აკადემიურ პროცესებში. პროგრამით გათვალისწინებულია როგორც სწავლების, ასევე კვლევის ასისტირება (იხ. ასისტირების კონცეფცია). სწავლების ასისტირების შემთხვევაში დოქტორანტი აკადემიური კურსის პროფესორს უწევს ასისტირებას, დამოუკიდებლად ახორციელებს აკადემიური კურსის კომპონენტს და ატარებს სალექციო/სასემინარო კურსს ან უწევს ტიუტორობას. კვლევის ასისტირების დროს დოქტორანტი შესაბამისი მიმართულების საბაკალავრო/სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებს უწევს კვლევითი პროექტების ხელმძღვანელობას/თანახელმძღვანელობას ან რეცენზირებას.

ასისტირების კომპონენტის ფარგლებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 12-24 კრედიტი შესაბამის აქტივობებში (იხ. ასისტირების კონცეფცია). ასისტირების კომპონენტის ეფექტური დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით ყოველ სემესტრულად დგინდება დოქტორანტის ასისტირების გეგმა (იხ. ასისტირების კონცეფცია), რომელიც წარედგინება ფაკულტეტს. ასისტირების აქტივობებში კრედიტების მინიჭება ხდება შეფასების შესაბამისი ფორმის წარდგენის საფუძველზე (იხ. ასისტირების კონცეფცია), მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მიერ.

დისერტაციის დაცვამდე დოქტორანტს შესაბამის სფეროში გამოქვეყნებული (ან ჟურნალის რედაქციისგან მიღებული გამოსაქვეყნებლად) უნდა ჰქონდეს არა ნაკლებ ორი სამეცნიერო სტატიისა, მათ შორის მინიმუმ ერთი სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს საერთაშორისო რეფერირებად თემატურ ჟურნალში/ჟურნალებში, რომლებიც აღიარებულ საერთაშორისო ნუსხებშია შესული (Clarivate Analytics (ყოფილი Thomson Reuters) Master

Journal List, Scopus, Ulrich's Index, ERIH PLUS, EBSCOHost, Latindex Catalogue). სამეცნიერო პუბლიკაციაში დოქტორანტის აფილიაციაში მითითებული უნდა იყოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელი. სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული პუბლიკაციისადმი მოთხოვნები იხ. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში.

სადოქტორო კვლევა ხორციელდება აკადემიური და კვლევის კეთილსინდისიერების და ეთიკის ნორმების დაცვით. ამის გათვალისწინებით დოქტორანტმა უნდა გაიაროს პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ შემოთავაზებული ტრენინგი ,,კვლევითი კეთილსინდისიერება და ეთიკა''.

სადოქტორო პროგრამა სრულდება **სადოქტორო ნაშრომის** წარდგენით და მისი დაცვით. სადოქტორო ნაშრომის დაცვა ხდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული სადისერტაციო საბჭოს წინაშე. სადოქტორო ნაშრომის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია სადოქტორო ნაშრომის კონცეფციის დოკუმენტში (იხ. სადოქტორო ნაშრომის კონცეფცია).

დასაქმების სფეროები

ციფრული ჰუმანიტარიის ოთხივე მიმართულება ინოვაციურია, როგორც რეგიონული, ისე საერთაშორისო მასშტაბით და კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროები მოიცავს ფართო სპექტრს, სადაც შერწყმულია როგორც ტექნოლოგიური ისე ჰუმანიტარული დარგების კომპეტენციები და მიდგომები, კერძოდ,

- შესაბამისი პროფილის კვლევით ინსტიტუტებს;
- უნივერსიტეტებს, ლინგვისტურ ლაბორატორიებსა და ცენტრებს;
- შესაბამისი პროფილის საერთაშორისო და ადგილობრივ კვლევით და/ან ბიზნეს პროექტებს, სადაც მოეთხოვება არა მხოლოდ ჰუმანიტარული დარგების კომპეტენციები;
- არქივებს, ბიბლიოთეკებს;
- საგამომცემლო დაწესებულებებს: რედაქციებს, გამომცემლობებს.

შეფასების წესი

სასწავლო კომპონენტების შეფასება 100 ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და ისაზღვრება ამგვარად:
(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი -მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;
(FX) ვერ ჩააბარა- მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა- მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სადოქტორო ნაშრომი ფასდება შემდეგი სისტემით:
ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს;
ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

„ა"–„ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

„ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადოქტორო ნაშრომის წარდგენის უფლება.
„ზ“ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სა დოქტორო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა (მათ შორის სამეცნიერო ელექტრონული ბაზები - Clarivate Analytics; ScienceDirect, Scopus, ProQuest, EBSCO, Jstor, Cambridge Journals, Taylor and Francis, Sage Publishing, DOAJ,);
- უნივერსიტეტის მულტიმედია ბიბლიოთეკა;
- ბოლო წლების განმავლობაში უნივერსიტეტში შექმნილი მონაცემთა ბაზები პროსოპოგრაფიის, ეპიგრაფიკისა და კორპუსის ენათმეცნიერების მიმართულებით;
- ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრი, მისი ბიბლიოთეკა, ცენტრის მიერ შექმნილი ლექსიკონები და კორპუსები;
- ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტი;
- უნილაბი;
- პროსოპოგრაფიული ბაზა, ეპიგრაფიკული კორპუსი, ქართული ენის კორპუსი და სხვ. რესურსები;
- არგუსი, Elearning და Turnitin-ის სისტემები;
- საერთაშორისო სადოქტორო სკოლა;
- კვლევების კოორდინაციის სამსახური;
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისა და საერთაშორისო ჟურნალებში სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების დაფინანსების შესაძლებლობა.

პროგრამის სასწავლო კურსები/კომპონენტები

კომპონენტის დასახელება	წინაპირობა	ლექტორი	საკონტაქტო საათების განაწილება	კრედიტი	სემესტრი გაზ/შემ	
სადოქტორო სემინარი 1		ხელმძღვანელი/ები, მომიჯნავე დარგის/დისციპლინის პროფესორი, რომელიც ჩართულია სადოქტორო პროგრამაში	ინდივიდუალური	6	x	
სადოქტორო სემინარი 2	სადოქტორო სემინარი 1	ხელმძღვანელი/ები, მომიჯნავე დარგის/დისციპლინის პროფესორი, რომელიც ჩართულია სადოქტორო პროგრამაში	ინდივიდუალური	6		x

Writing for Academic Publication		მაია როგავა	30	6	**x**	**x**
კურიკულუმის განვითარება და სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში		სოფიკო ლობჟანიძე	32	6	**x**	**x**
პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებული მინიმუმ 2 ტრენინგ კურსი		ტრენინგ კურსის შესაბამისი ტუტორი	-	-	**x**	**x**
კორპუსის ენათმეცნიერების კვლევის მეთოდები		ირინა ლობჟანიძე	56	12	**x**	
კომპიუტერული ენათმეცნიერების კვლევის მეთოდები		ირინა ლობჟანიძე	56	12	**x**	
ციფრული ეპიგრაფიკის კვლევის მეთოდები და საქართველოს მრავალენოვანი ეპიგრაფიკა (ქართული, ძველი ბერძნული, არამეული, ებრაული)		ნინო დობორჯგინიძე	54	12	**x**	
პროსოპოგრაფია როგორც კვლევის მეთოდი		ოლივერ რაისნერი	64	12	**x**	
კვლევის მეთოდები ელექტრონულ ლექსიკოგრაფიაში		თინათინ მარგალიტაძე/გიორგი მელაძე/ზაქარია ფურცხვანიძე	64	12	X	
ასისტირება	კურსიკულუმის განვითარება და სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში/ PPDC-ის ცენტრის სწავლებისა და შეფასების მეთოდების მინიმუმ ერთი ტრენინგ კურსის	ხელმძღვანელი/ები, მომიჯნავე დარგის/დისციპლინის პროფესორი, რომელიც ჩართულია სადოქტორო პროგრამაში	-	12-24	**x**	**x**

დარგობრივი სემინარი		ხელმძღვანელი/ები, მომიჯნავე დარგის/დისციპლინის პროფესორი, რომელიც ჩართულია სადოქტორო პროგრამაში	ინდივიდუალური	6	x	x
პროსპექტუსი						**x**
სადოქტორო კოლოკვიუმები				-	**x**	**x**
სადოქტორო ნაშრომი				-	**x**	**x**

ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი			
	სახელი და გვარი	*სტატუსი*	*ელექტრონული ფოსტა*
1	ნინო დობორჯგინიძე	პროფესორი	nino_doborjginidze@iliauni.edu.ge
2	ირინა ლობჟანიძე	პროფესორი	irina_lobzhanidze@iliauni.edu.ge
3	თინათინ მარგალიტაძე	პროფესორი	tinatin.margalitadze@iliauni.edu.ge
4	ოლივერ რაისნერი	პროფესორი	oliver.reisner@iliauni.edu.ge
5	მაია როგავა	პროფესორი	maia.rogava@iliauni.edu.ge
6	სოფიკო ლობჟანიძე	პროფესორი	sopiko_lobjanidze@iliauni.edu.ge
7	გიორგი მელაძე	მოწვეული ლექტორი	giorgi.meladze.4@iliauni.edu.ge
8	ზაქარია ფურცხვანიძე	მოწვეული ლექტორი	pourtskhvanidze@em.uni-frankfurt.de